



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია



წერილის ნომერი: 30-302222340
თარიღი: 11/08/2022

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

„საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, საკრებულოს ინფორმირებულობის თვალსაზრისით, წარმოგიდგენთ 2022 წლის 21 მარტს მომზადებულ შიდა აუდიტორულ ანგარიშს (შესაბამისობის აუდიტი) რომელიც შეეხება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ 2019-2020-2021 წლების ბიუჯეტებითა და წესდებით გათვალისწინებულ და განხორციელებულ საქმიანობას.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური

„ვამტკიცებ“
შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი
მამუკა ვადაჭკორია

21 მარტი 2022 წელი

№01/01

ა(ა)იპლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“
2019-2020-2021 წლების ბიუჯეტებით და წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები.....	4
შესავალი.....	5
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	5
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	5
აუდიტის საგანი.....	6
აუდიტის მასშტაბი.....	6
აუდიტის კრიტერიუმები.....	6
აუდიტის მიზანი.....	7
აუდიტის მეთოდოლოგია.....	7
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ.....	8
შემოსულობები და ხარჯები.....	8
აუდიტის მიგნებები.....	10
შესყიდვების წლიური გეგმა	10
შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგება	10
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები	10
ბალანსი	10
ინვენტარიზაცია	10

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

- მუნიციპალიტეტი – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი;
- საკრებულო - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
- მერია – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია;
- სამსახური- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური;
- აუდიტის ობიექტი – ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება“
- გამარტივებული შესყიდვა - შესყიდვის საშუალება, რომელიც გამოიყენება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 101 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან 5 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში;
- CPV კოდი- კლასიფიკატორის კოდი;
- შპს-შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
- ა(ა)იპ-არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი;
- ორგანიზაცია- ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება“
- ი/მ- ინდივიდუალური მეწარმე;
- ფ/პ-ფიზიკური პირი;
- მიმწოდებელი- პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- შემსყიდველი ორგანიზაცია- შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურმა ჩაატარა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ მიერ 2019-2020-2021 წლების ბიუჯეტებით და წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. სამსახურის მიერ გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია №1 ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს ორგანიზაციის ფუნქციონირების საჭიროებიდან გამომდინარე მაქსიმალურად ზუსტად განსაზღვროს შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების, მოცულობების, სავარაუდო ღირებულების/გამარტივებული შესყიდვის ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობა, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის საბიუჯეტო რესურსების რაციონალურად ხარჯვას.

რეკომენდაცია №2 ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიერ ფაქტიურად განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სათანადოდ დამტკიცებული წესის შესაბამისად ატვირთვას სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის ანგარიშგების რეგლამენტაციის გამჭვირვალობასა და მონიტორინგის.

რეკომენდაცია №3 ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები რაც უზრუნველყოფს, ერთის მხრივ, ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე დასაძებ ხელშეკრულებებში ისეთი ინფორმაციის ასახვას რაც სრულ შესაბამისობაში იქნება ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ მონაცემებთან და მეორეს მხრივ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობებებთან მიმართებაში ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი ქმედებების სრულ შესაბამისობას.

რეკომენდაცია №4 ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შეიმუშავოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმი რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური მოვლენების მოკორესპოდენტო ბუღალტრულ ანგარიშებზე (ბუღალტრულ გატარებებში) შესაბამის ასახვას, მუდმივ (აქტივების, ვალდებულებების და წმინდა აქტივები/კაპიტალის) და დროებით (შემოსავლების და ხარჯების) ანგარიშებზე სათანადო ჩანაწერების გაკეთებას შესაბამის ფულად გამოსახულებაში. აღნიშნული ხელს შეუწყობს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების აღრიცხვის სისწორეს.

რეკომენდაცია №5 ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შეიმუშავოს კონტროლის ისეთი მექანიზმები რაც უზრუნველყოფს საინვენტარიზაციო კომისიის წევრების მიერ ინვენტარიზაციის ჩატარებისათვის საჭირო ყველა პროცედურის ჯეროვნად განხორციელებას, რაც თავის მხრივ გამორიცხავს საინვენტარიზაციო აღწერებში არასწორი მონაცემების შეტანას.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ა(ა)იპი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ორგანიზაციის საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. რომელთა თანახმად მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტები ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებული ქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმისშესახებ, რომ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავდეს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა პროფესიული განსჯის საფუძველზე, ხარისხობრივი და რაოდენობრივი შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით და შესაძლებელია არ მოიცვა აუდიტის საგნის ყველა ელემენტი, გამომდინარე აქედან აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოებები დარჩეს შეუმჩნეველი.

მიგვაჩნია, რომ ჩატარებულ აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ მიერ 2019-2020-2021 წლების ბიუჯეტებით და წესდებით გათვალისწინებული საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტის კრიტერიუმები

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 14 მარტის N187 ბრძანების დანართი N2 და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 მარტის N197 ბრძანება.
- „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული(ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის N10 დადგენილება;
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდაფინანსური კონტროლის შესახებ“.
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება N12 „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N13 „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

- ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან;
- მონაცემთა ანალიზი.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება“ არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თემთა მმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „1“ ქვეპუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1-ლი კარის მეორე თავის საფუძველზე შექმნილი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის და წესებულებათა გაერთიანების“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 233731478) დაყოფის შედეგად წარმოქმნილი შემოქმედებითი დაწესებულება რომლის უფლებამოსილებები, ვალდებულებები, სტრუქტურა და მართვის ორგანიზება განისაზღვრება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 14 მარტის N187 ბრძანების დანართი N2-ისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 მარტის N197 ბრძანების შესაბამისად.

ორგანიზაცია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობისა და ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ წესდების საფუძველზე. ორგანიზაციას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია ქ. ლანჩხუთი, ნინოშვილის ქ. N52.

ორგანიზაციის წესდების თანახმად მისი საქმიანობის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

ა) პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა;

ბ) მოსწავლეებისთვის ხატვის ხელოვნების საფუძვლების შეცნობისა და ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა;

გ) მოსწავლეებისათვის ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა, შეყვარება;

დ) მოსწავლეებისათვის დაწყებითი სამხატვრო განათლების მიცემა;

ე) მოსწავლეებისათვის დაწყებითი სამუსიკო განათლების მიცემა;

ვ) სხვადასხვა ღონისძიებების საშუალებით განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა;

ზ) სხვადასხვა სახის წრეების ჩამოყალიბება: სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტების შემსწავლელი და ა. შ.

თ) კულტურული მომსახურება როგორც ადგილზე, ასევე გასვლითი ღონისძიებები მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;

ი) ფასიანი ან საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა და მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ;

კ) ყველა სხვა საქმიანობა, რაც არ ეწინააღმდეგება გაერთიანების მიზნებს და არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით;

შემოსულობები და ხარჯები

2019 წელს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ ბიუჯეტი თავდაპირველად 328000 ლარით დაიგეგმა, საბოლოოდ კი 342 350 ლარით განისაზღვრა, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება 303350 ლარით განისაზღვრა, ხოლო საკუთარი შემოსავალი 39000 ლარით.

2019 წელს ორგანიზაციის ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 337702 ლარი, მათ შორის, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებამ შეადგინა 301774 ლარი, ხოლო საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 35928 ლარი. 2018 წლის ნაშთი 35.46 ლარი.

ხარჯებმა დანახარჯთა ძირითადი მუხლების მიხედვით შეადგინა:

შრომითი ანაზღაურება:

- ხელფასი_შტატით რიცხულ 71 თანამშრომელზე ჯამურად 287743 ლარი შეადგინა. საქონელი და მომსახურება:

- შტატგარეშე 9 თანამშრომელზე ჯამურად_19410 ლარი ;
- მივლინების ხარჯი_398 ლარი;
- ოფისის ხარჯი_13153 ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი_2700 ლარი;
- ტრანსპორტირების ხარჯი_1730 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი_ 2562 ლარი;
- სხვა ხარჯი_ 960 ლარი ;
- არაფინანსური აქტივების ზრდა_150 ლარი;

სულ ხარჯი 328806 ლარი. ნაშთმა 2020 წლის 01 იანვრისთვის შეადგენა 8931 ლარი.

2020 წელს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ ბიუჯეტი თავდაპირველად დაიგეგმა 360169 ლარით, საბოლოოდ კი 332660 ლარით განისაზღვრა, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება განისაზღვრა 320200 ლარით, ხოლო საკუთარი შემოსავალი 12460 ლარით.

2020 წელს ორგანიზაციის ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 332588 ლარი, მათ შორის, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებამ შეადგინა 320128 ლარი, ხოლო საკუთარმა შემოსავალმა 12460 ლარი.

ხარჯებმა დანახარჯთა ძირითადი მუხლების მიხედვით შეადგინა:

შრომითი ანაზღაურება:

- ხელფასი_შტატით რიცხულ 71 თანამშრომელზე ჯამურად 294059 ლარი შეადგინა.

საქონელი და მომსახურება:

- შტატგარეშე 7 თანამშრომელზე ჯამურად_22012 ლარი ;
- ოფისის ხარჯი_12077 ლარი;
- ტრანსპორტირების ხარჯი_200 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი_ 1139 ლარი;
- სამედიცინო ხარჯი_ 117 ლარი ;
- არაფინანსური აქტივების ზრდა_11339 ლარი;

სულ ხარჯი - 340943. ნაშთმა 2021 წლის 01 იანვრისათვის შეადგინა 576 ლარი.

2021 წელს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ ბიუჯეტი თავდაპირველად 351000 ლარით დაიგეგმა, საბოლოოდ კი 359200 ლარით განისაზღვრა, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება განისაზღვრა 328200 ლარით, ხოლო საკუთარი შემოსავალი 31000 ლარით.

2021 წელს ორგანიზაციის ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 348965 ლარი, მათ შორის, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებამ შეადგინა 328150 ლარი, ხოლო საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 20815 ლარი.

ხარჯებმა დანახარჯთა ძირითადი მუხლების მიხედვით შეადგინა:

შრომითი ანაზღაურება:

- ხელფასი_შტატით რიცხულ 71 თანამშრომელზე ჯამურად 287972 ლარი შეადგინა.
- საქონელი და მომსახურება:

- შტატგარეშე 9 თანამშრომელზე ჯამურად_27300 ლარი ;
- ოფისის ხარჯი_7013 ლარი;
- ტრანსპორტირების ხარჯი_720 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი_ 5450 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა_4994 ლარი;

სულ ხარჯი 333449 ლარი. ნაშთმა 2022 წლის 01 იანვრისთვის შეადგენა 16092 ლარი.

აუდიტის მიგნებები

შესყიდვების წლიური გეგმა

კრიტერიუმი

- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.

მიგნება

- ორგანიზაციამ 2019 წელს დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებულ კლასიფიკატორის CVP კოდზე(03400000) ნაცვლად 1000 ლარისა განახორციელა 1500 ლარის სახელმწიფო შესყიდვა.
- ორგანიზაციამ 2019 წელს დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებულ კლასიფიკატორის CVP კოდზე(24400000) ნაცვლად 100 ლარისა განახორციელა 136 ლარის სახელმწიფო შესყიდვა.
- ორგანიზაციამ 2019 წელს დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებულ კლასიფიკატორის CVP კოდზე(60100000) ნაცვლად 1000 ლარისა განახორციელა 1730 ლარის სახელმწიფო შესყიდვა.
- ორგანიზაციამ 2019 წელს დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებულ კლასიფიკატორის CVP კოდზე(77200000) ნაცვლად 300 ლარისა განახორციელა 375 ლარის სახელმწიფო შესყიდვა.
- ორგანიზაციამ 2019 წელს დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებულ კლასიფიკატორის CVP კოდზე(79800000) ნაცვლად 500 ლარისა განახორციელა 840 ლარის სახელმწიფო შესყიდვა.
- ორგანიზაციის მიერ 2019 წელს დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმაში კლასიფიკატორის CVP კოდზე(50500000) არ არის მითითებული ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვა 195 ლარზე.
- ორგანიზაციამ 2020 წელს დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებულ კლასიფიკატორის CVP კოდზე(42500000) საკუთარი სახსრებით ნაცვლად 50 ლარისა განახორციელა 3214 ლარის სახელმწიფო შესყიდვა.
- ორგანიზაციის მიერ 2020 წელს დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმაში კლასიფიკატორის CVP კოდზე(42500000) არ არის მითითებული ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვა 1258 ლარზე.

- ორგანიზაციამ 2020 წელს დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებულ კლასიფიკატორის CVP კოდზე(44300000) ნაცვლად 50 ლარისა განხორციელა 126 ლარის სახელმწიფო შესყიდვა.
- ორგანიზაციამ 2020 წელს დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებულ კლასიფიკატორის CVP კოდზე(79700000) ნაცვლად 600 ლარისა განხორციელა 1137 ლარის სახელმწიფო შესყიდვა.
- ორგანიზაციამ 2020 წელს დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებულ კლასიფიკატორის CVP კოდზე(45300000) 300 ლარზე ნაცვლად საკუთარი სახსრებისა შესყიდვა განხორციელა ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.
- ორგანიზაციის მიერ 2021 წელს დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმაში კლასიფიკატორის CVP კოდზე(30100000) არ არის მითითებული ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვა 1080 ლარზე.
- ორგანიზაციამ 2021 წელს დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებულ კლასიფიკატორის CVP კოდზე(31500000) ნაცვლად 200 ლარისა განხორციელა 280 ლარის სახელმწიფო შესყიდვა.
- ორგანიზაციის მიერ 2021 წელს დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმაში კლასიფიკატორის CVP კოდზე(79800000) არ არის მითითებული ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვა 100 ლარზე.

დასკვნა

2019-2020-2021 წლებში ორგანიზაციის მიერ ფაქტიურად განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები როგორც თანხობრივი ასევე შესყიდვისთვის გამოყენებული სახსრების გათვალისწინებით გარკვეულ წილად არ მოდის შესაბამისობაში ზემოთაღნიშნულ წლებში ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში წარდგენილ შესყიდვების წლიურ გეგმებში მითითებულ მონაცემებთან, რაც თავის მხრივ მიუთითებს ორგანიზაციის მიერ შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს დაშვებულ ხარვეზებზე რაც განპირობებული იყო მისაწოდებელი საქონლის რაოდენობის, შესასრულებელი სამუშაოს ან გასაწევი მომსახურების მოცულობის, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების არასათანადო განსაზღვრით.

რეკომენდაცია №1 ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს ორგანიზაციის ფუნქციონირების საჭიროებიდან გამომდინარე მაქსიმალურად ზუსტად განსაზღვროს შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების, მოცულობების, სავარაუდო ღირებულების/გამარტივებული შესყიდვის ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობა, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის საბიუჯეტო რესურსების რაციონალურად ხარჯვას.

შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგება

კრიტერიუმი

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანების მე-2 მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია – ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებასთან/შეუსრულებლობასთან (მათ შორის, მიღება-ჩაბარების აქტი, ზედნადები, ანგარიშგაქტურა, ხელშეკრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის დასკვნა, ექსპერტიზის დასკვნა, კორესპონდენცია, ფოტოსურათი და სხვ.);

მიგნება

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ორგანიზაციის მიერ 2019 წლის 03 დეკემბრის N34 ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციად შეცდომით ატვირთულია ორგანიზაციის მიერ 2019 წლის 03 დეკემბრის N33 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ დოკუმენტი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ არის ატვირთული 2019 წლის 03 დეკემბრის N34 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ორგანიზაციის ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა.
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ არის ატვირთული 2019 წლის 06 სექტემბრის N30 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მიღება-ჩაბარების აქტი და ორგანიზაციის ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა.
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ არის ატვირთული 2019 წლის 08 აპრილის N8 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სასაქონლო ზედნადები(ანგარიშგაქტურა) და ორგანიზაციის ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა.
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ორგანიზაციის მიერ 2019 წლის 24 ივლისის N28 ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციად შეცდომით ატვირთულია ორგანიზაციის მიერ 2019 წლის 16 სექტემბრის N31 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მიღება-ჩაბარების აქტი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ

სისტემაში არ არის ატვირთული 2019 წლის 24 ივლისის N28 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ორგანიზაციის ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა.

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 18 დეკემბრის N34 ხელშეკრულების ნაცვლად შეცდომით ატვირთულია ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 18 დეკემბრის N35 ხელშეკრულება. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ არის ატვირთული 2020 წლის 18 დეკემბრის N34 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ორგანიზაციის ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა.

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ორგანიზაციის მიერ 2021 წლის 08 დეკემბრის N27 ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში ატვირთულია „მიმწოდებელის“ მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადები რომელიც შეუსაბამოა აღნიშნული ხელშეკრულების დანართ N 1_ში მითითებულ ფასების ცხრილში მითითებულ ინფორმაციასთან. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ არის ატვირთული 2021 წლის 08 დეკემბრის N27 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ორგანიზაციის ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა.

დასკვნა

2019-2020-2021 წლებში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გარკვეულ წილად შეუსაბამოდ იქნა ატვირთული ორგანიზაციის მიერ ფაქტიურად განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია რაც მიუთითებს ორგანიზაციის მენეჯმენტის მხრიდან არასათანადო კონტროლის სისტემების არსებობაზე.

რეკომენდაცია №2 ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შეიმუშავოს კონტროლის ისეთი ღონისძიებები რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიერ ფაქტიურად განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სათანადოდ დამტკიცებული წესის შესაბამისად ატვირთვას სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის ანგარიშგების რეგლამენტაციის გამჭვირვალობასა და მონიტორინგს.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები

კრიტერიუმი

- სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N13-ის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მხარეთა ზუსტ დასახელებასა და რეკვიზიტებს;

დ) შესყიდვის ობიექტის დასახელებასა და მის შესაბამის CPV კოდს (კლასიფიკატორის კატეგორია, კლასი, ჯგუფი ან დანაყოფი. კლასიფიკატორის დაბალი იერარქიული დონის მითითების შეუძლებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უთითებს მის მომდევნო ზედა იერარქიულ დონეს);

ე) ხელშეკრულების ღირებულებას;

ვ) საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას;

თ) ანგარიშსწორების წესს, აგრეთვე წინასწარი ანგარიშსწორების პირობებს (გამოყენების შემთხვევაში);

- სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N13-ის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი(ინსპექტირება) დაავალოს შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს.

მიგნება

- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2019 წლის 03 დეკემბერს გაფორმებულ N33 ხელშეკრულების მე-7 მუხლში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების განმახორციელებლად მითითებულია სააღმზრდელო ცენტრში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2020 წლის 03 სექტემბერს გაფორმებულ N16 ხელშეკრულების მე-7 მუხლში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების განმახორციელებლად მითითებულია სააღმზრდელო ცენტრში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი. ორგანიზაციის მიერ „მიმწოდებლისთვის“ 961.96 ლარი გადახდილია წინასწარ რაც არ შეესაბამება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2020 წლის 03 სექტემბერს გაფორმებულ N16 ხელშეკრულების მე-4 მუხლით მითითებულ პირობებს.

- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2020 წლის 11 სექტემბერს გაფორმებულ N27 ხელშეკრულების მე-7 მუხლში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების განმახორციელებლად მითითებულია სააღმზრდელო ცენტრში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი. ორგანიზაციის მიერ „მიმწოდებლისთვის“ 116.50 ლარი გადახდილია წინასწარ რაც არ შეესაბამება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2020 წლის 11 სექტემბერს გაფორმებულ N27 ხელშეკრულების მე-4 მუხლით მითითებულ პირობებს.

- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2020 წლის 07 სექტემბერს გაფორმებულ N22 ხელშეკრულების მე-7 მუხლში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების განმახორციელებლად მითითებულია სააღმზრდელო ცენტრში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი. ორგანიზაციის მიერ „მიმწოდებლისთვის“ 98.50 ლარი გადახდილია წინასწარ რაც არ შეესაბამება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2020 წლის 11 სექტემბერს გაფორმებულ N22 ხელშეკრულების მე-4 მუხლით მითითებულ პირობებს.

- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2020 წლის 22 დეკემბერს გაფორმებულ N37 ხელშეკრულების მე-8 მუხლში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების განმახორციელებლად მითითებულია მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2020 წლის 18 დეკემბერს გაფორმებულ N36 ხელშეკრულების მე-8 მუხლში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების განმახორციელებლად მითითებულია მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2020 წლის 03 სექტემბერს გაფორმებულ N21 ხელშეკრულების მე-7 მუხლში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების განმახორციელებლად მითითებულია მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი, ხოლო აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დოკუმენტში ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ შესყიდვის კლასიფიკატორის CPV კოდი ნაცვლად ხელშეკრულებით განსაზღვრული 39800000-ისა მითითებულია შეუსაბამოდ (39200000).

- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2020 წლის 11 სექტემბერს გაფორმებულ N26 ხელშეკრულების მე-8 მუხლში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების განმახორციელებლად მითითებულია სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი. ორგანიზაციას „მიმწოდებლისთვის“ გადახდილი აქვს 145 ლარი რაც არ შეესაბამება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2020 წლის 11 სექტემბერს გაფორმებულ N26 ხელშეკრულების მე-3 მუხლის „3.1“ პუნქტით მითითებულ პირობებს, რომლის თანახმადაც ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 85 (ოთხმოცდახუთი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2020 წლის 12 თებერვალს გაფორმებულ N8 ხელშეკრულების მე-7 მუხლში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების განმახორციელებლად მითითებულია მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2020 წლის 18 დეკემბერს გაფორმებულ N32 ხელშეკრულების მე-7 მუხლში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების განმახორციელებლად მითითებულია მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2020 წლის 29 იანვარს გაფორმებულ N6 ხელშეკრულების მე-7 მუხლში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების განმახორციელებლად მითითებულია სააღმზრდელო ცენტრში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

ხელშეკრულების მე-8 მუხლში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების განმახორციელებლად მითითებულია მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2021 წლის 12 ივლისს გაფორმებულ N10 ხელშეკრულების მე-6 მუხლში ნაცვლად „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებისა“ მითითებულია, რომ მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ „შემსრულებელი“ მოემსახურება სააღმზრდელო ცენტრს მოთხოვნის შესაბამისად. ამავე ხელშეკრულების მე-8 მუხლში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების განმახორციელებლად მითითებულია მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2021 წლის 12 ივლისს გაფორმებულ N9 ხელშეკრულების მე-6 მუხლში ნაცვლად „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებისა“ მითითებულია, რომ მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ „შემსრულებელი“ მოემსახურება სააღმზრდელო ცენტრს მოთხოვნის შესაბამისად. ამავე ხელშეკრულების მე-8 მუხლში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების განმახორციელებლად მითითებულია მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2021 წლის 24 ივნისს გაფორმებულ N8 ხელშეკრულების მე-6 მუხლში ნაცვლად „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებისა“ მითითებულია, რომ მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ „შემსრულებელი“ მოემსახურება სააღმზრდელო ცენტრს მოთხოვნის შესაბამისად. ამავე ხელშეკრულების მე-8 მუხლში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების განმახორციელებლად მითითებულია მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2021 წლის 24 ივნისს გაფორმებულ N7 ხელშეკრულების მე-6 მუხლში ნაცვლად „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებისა“ მითითებულია, რომ მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ „შემსრულებელი“ მოემსახურება სააღმზრდელო ცენტრს მოთხოვნის შესაბამისად. ამავე ხელშეკრულების მე-8 მუხლში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების განმახორციელებლად მითითებულია მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

-

დასკვნა

2019-2020-2021 წლებში ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „მიმწოდებელთან“ ან/და „შემსრულებელთან“ გაფორმებულ ზოგიერთ ხელშეკრულებებში მითითებული „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებაში“ არსებული ინსპექტირების ჯგუფის დასახელებისა და საქონლის მიწოდების ადგილის იურიდიული მისამართის შესახებ ინფორმაცია შეიცავს უზუსტობებს და არ შეესაბამება „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ მიმართებაში არსებულ ფაქტობრივ მონაცემებს, ხოლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებულ ზოგიერთ ხელშეკრულებებში განსაზღვრული ანგარისწორების პირობების მიუხედავად ორგანაზიციამ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსაბამოდ, წინასწარი გადარიცხვის ფორმით მოახდინა ანგარიშწორება „მიმწოდებელთან“.

რეკომენდაცია №3 ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შეიმუშავოს კონტროლის ისეთი მექანიზმები რაც უზრუნველყოფს, ერთის მხრივ, ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე დასადებ ხელშეკრულებებში ისეთი ინფორმაციის ასახვას რაც სრულ შესაბამისობაში იქნება ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ მონაცემებთან და მეორეს მხრივ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობებისა და ორგანიზაციის მიერ განსაზღვრებული ქმედებების სრულ შესაბამისობას.

ბალანსი

კრიტერიუმი

- ბუღალტრული გატარების საფუძველს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც ასახავს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს.
- ეკონომიკური მოვლენების მოკორესპოდენტო ბუღალტრულ ანგარიშებზე (ბუღალტრულ გატარებებში) ასახვა ხდება პირველად დოკუმენტებში მითითებული ოპერაციების და სხვა მოვლენების მოხდენის თარიღით და მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებას რომელსაც უკავშირდება აღნიშნული მოვლენა.
- მუდმივ (აქტივების, ვალდებულებების და წმინდა აქტივები/კაპიტალის) და დროებით (შემოსავლების და ხარჯების) ანგარიშებზე ჩანაწერები კეთდება ორმაგი ჩაწერის პრინციპის (წესის) გამოყენებით, ფულად გამოსახულებაში. დროებით ანგარიშებზე ასახული შემოსავლები და ხარჯები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხურება წმინდა აქტივების/კაპიტალის შესაბამის ანგარიშებზე.
- საცნობარო ანგარიშები გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის ერთეულის ფინანსური მდგომარეობის და შედეგების შესახებ დამატებითი ფინანსური ინფორმაციის წარსადგენად. საცნობარო ანგარიშებზე ჩანაწერები კეთდება ორმაგი ჩაწერის პრინციპის (წესის) გამოყენების გარეშე, ფულად გამოსახულებაში.

მიგნება

- 2019 წლის ბალანსში ძირითადი აქტივების(მანქანა-დანადგარების) ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 10603 ლარი, რაც არ ედრება ჩვენთვის წარმოდგენილ ძირითადი აქტივების(მანქანა-დანადგარების) აღრიცხვის ნუსხას (დანართი 2) 13713 ლარს. (სხვაობა 3110 ლარი.)
- არსწორად არის ასახული ბალანსში შენობა-ნაგებობების ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 150 ლარი. აღნიშნული თანხა არის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში

გადახდილი თანხა(უზურფრუქტის უფლების წარმოშობის რეგისტრაციის უძრავ ნივთზე)რაც გატარებული უნდა იყოს სხვა ხარჯების მუხლიდან.

- ძირითადი აქტივების (მანქანა-დანადგარების) ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 12797,39 ლარს (ფორმა N1 ბალანსი); 2020 წელს ა(ა)იპ შეძენილი აქვს 10754 ლარის ძირითადი სშუალეზა (5 ცალი კონდენციონერი ღირებულებით 4442 ლარი, 2 ცალი პიანინო ღირებულებით 1370 ლარი, 2 ცალი კედლის ქვაბი ღირებულებით 4942 ლარი) წარმოდგენილ ფორმაში (დანართი 2) კედლის ქვაბის ღირებულება 4336 ლარით არის დაფიქსირებული ე.ი 600 ლარით ნაკლები თანხით და შესაბამისად ცვეთაც ნაკლები აქვს დარიცხული, არაფინანსური აქტივები კი არასწორად არის გაზრდილი 584 ლარით (კონდიციონერის დამონტაჟების ღირებულება).
- გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 27033 ლარს(ფორმა N1 ბალანსი); 2020 წელს შეძენილი არის 1381 ლარის მცირეფასიანი ინვენტარი ბალანსში კი 28414 ლარის ნაცვლად დაფიქსირებულია 27033 ლარი ე.ი 1381 ლარით ნაკლები.

დასკვნა

ორგანიზაციის ბალანსში თანხობრივად არასწორად არის ასახული შენობა-ნაგებობების , ძირითადი აქტივების (მანქანა-დანადგარების), გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ნაშთი, რაც უარყოფითად აისახება მუდმივ (აქტივების, ვალდებულებების და წმინდა აქტივები/კაპიტალის) და დროებით (შემოსავლების და ხარჯების) ანგარიშებზე სათანადო ჩანაწერების სიზუსტეზე ფულად გამოსახულებაში

რეკომენდაცია №4 ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შეიმუშავოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმი რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური მოვლენების მოკორესპოდენტო ბუღალტრულ ანგარიშებზე (ბუღალტრულ გატარებებში) შესაბამის ასახვას, მუდმივ (აქტივების, ვალდებულებების და წმინდა აქტივები/კაპიტალის) და დროებით (შემოსავლების და ხარჯების) ანგარიშებზე სათანადო ჩანაწერების გაკეთებას შესაბამის ფულად გამოსახულებაში. აღნიშნული ხელს შეუწყობს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების აღრიცხვის სისწორეს.

ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის N10 დადგენილების შესაბამისად ორგანიზაცია ვალდებულია დადგენილ ვადებში ჩაატაროს მის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების შესაბამისად.

ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის მიზანს წარმოადგენს:

- ა) ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი;
- ბ) აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა;
- გ) გამოუყენებელი აქტივების გამოვლენა;
- დ) ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის წესებისა და პირობების შემოწმება;
- ე) არაფინანსური აქტივების ექსპლუატაციის წესების დაცვის შემოწმება;
- ვ) ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმება;
- ზ) აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან.

მიგნება

- 2019-2020-2021 წლებში ორგანიზაციის დაქვემდებარებაში მყოფ სუფსის სამუსიკო სკოლაში ჩატარებულ ყოველწლიური ინვენტარიზაციის აქტებში(ორგანიზაციის დირექტორის 2019 წლის 15 ნოემბრის ბრძანება N114; ორგანიზაციის დირექტორის 2020 წლის 16 ნოემბრის ბრძანება N90; ორგანიზაციის დირექტორის 2021 წლის 18 ნოემბრის ბრძანება N81) ფიქსირდება 2(ორი) ცალი მუსიკალური ინსტრუმენტი „ტამტამი“(ერთეულის ფასი შეადგენს 150 ლარს), რაც არ შეესაბამება სუფსის სამუსიკო სკოლაში არსებულ ფაქტიურ მონაცემს, ვინაიდან მათ გააჩნიათ მხოლოდ ერთი ერთეული მუსიკალური ინსტრუმენტი „ტამტამი“.

- 2020-2021 წლებში ორგანიზაციის დაქვემდებარებაში მყოფ ქ.ლანჩხუთში მარიკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში ჩატარებულ ყოველწლიური ინვენტარიზაციის აქტებში(ორგანიზაციის დირექტორის 2020 წლის 12 ნოემბრის ბრძანება N90; ორგანიზაციის დირექტორის 2021 წლის 18 ნოემბრის ბრძანება N81.) ფიქსირდება 1(ერთი) ცალი „კედლის ქვაბი“, რაც არ შეესაბამება ქ.ლანჩხუთში, მარიკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში არსებულ ფაქტიურ მონაცემებს ვინაიდან მათ გააჩნიათ 2(ორი) ცალი „კედლის ქვაბი“.

დასკვნა

ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ შედგენილი ინვენტარიზაციის შედეგის აქტები არ შეესაბამება ფაქტობრივ მონაცემებს, ვინაიდან მატერიალური ფასეულობის ინვენტარიზაციის კომისიამ სათანადოდ ვერ განახორციელა მატერიალური ფასეულობების ფიზიკურად დათვალიერების პროცედურები, რამაც თავის მხრივ განაპირობა საინვენტარიზაციო აღწერილობებში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია №5 ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ შეიმუშავოს კონტროლის ისეთი მექანიზმები რაც უზრუნველყოფს საინვენტარიზაციო კომისიის წევრების მიერ ინვენტარიზაციის ჩატარებისათვის საჭირო ყველა პროცედურის ჯეროვნად განხორციელებას, რაც თავის მხრივ გამორიცხავს საინვენტარიზაციო აღწერებში არასწორი მონაცემების შეტანას.


უდიტორთა ხელმოწერა:

ნინო ზენაიშვილი



(ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის
ინსპექტირების განყოფილების უფროსი)

მანანა ზენაიშვილი



(ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის
პირველი კატეგორიის წამყვანი სპეციალისტი)

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში
მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის თაობაზე

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს შორის

ქ. თბილისი

— დეკემბერი, 2019 წელი

წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ფორმდება შემდეგ მხარეებს შორის:

- ერთი მხრივ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) წარმომადგენელი მინისტრი/მინისტრის მოადგილის (გიორგი კაკაურიძე) სახით, და
- მეორე მხრივ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის (შემდგომში - მუნიციპალიტეტი) მერი (ალექსანდრე სარიშვილი).

მხარეები ითვალისწინებენ, რომ სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასება (PEFA) არის საჯარო ფინანსების მართვის შეფასების ეფექტური ინსტრუმენტი;

მხარეები აცნობიერებენ, რომ შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებს საჯარო ფინანსების მართვის შესრულების საფუძვლიან, თანმიმდევრულ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ანალიზს დროის კონკრეტულ მონაკვეთში;

მხარეები აცნობიერებენ, რომ მიუხედავად სახელმწიფო დონეზე სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) შეფასების ანგარიშის მიხედვით მაღალი შეფასებებისა, მუნიციპალიტეტების სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) ინდიკატორების გამოყენებით შეფასების მომზადებისას გამოიკვეთა ხარვეზები საჯარო ფინანსების მართვის სფეროში, ინდიკატორების მნიშვნელოვანი ნაწილი შეფასდა დაბალი ქულებით და საჭიროებს გაუმჯობესებას;

მხარეები აცნობიერებენ, რომ 2018-2021 წლების საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესება, რაც საჭიროებს მნიშვნელოვან ძალისხმევას ფინანსების მართვაში ჩართული მხარეების მხრიდან;

მხარეები ანიჭებენ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომ ფინანსების მართვის შეფასების ინსტრუმენტი გამოყენებულია მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) სისტემის შესაფასებლად, თანხმდებიან მემორანდუმის შემდეგ პირობებზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

მხარეები გამოხატავენ და ადასტურებენ სურვილსა და მზადყოფნას, ითანამშრომლონ კანონმდებლობით ნებადართული ფორმით, ამ მემორანდუმის ფარგლებში 2018-2021 წლების საჯარო

ფინანსების მართვის სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების სათანადოდ განხორციელების და სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების (PEFA) ანგარიშით გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

მუხლი 2. მემორანდუმის საგანი

მემორანდუმის საგანია, მხარეთა თანამშრომლობის შედეგად, ამ მემორანდუმის დანართით (შემდგომში - დანართი) განსაზღვრული ამოცანების და სამიზნე მაჩვენებლების შესრულება დადგენილ ვადებში და ამ შესრულებიდან გამომდინარე კაპიტალური გრანტის (შემდგომში - გრანტი) მიღება. ამ მემორანდუმის დანართი წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მხარეები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას და შეასრულებენ ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ უფლება-ვალდებულებებს;
2. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, რათა მემორანდუმის ფარგლებში ერთობლივი საქმიანობის დაგეგმვისთვის და ცალკეული გადაწყვეტილებების შესასრულებლად, საჭიროების შემთხვევაში, გამოყონ შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომელი/თანამშრომლები.
3. სამინისტრო იღებს ვალდებულებას, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული წესით განახორციელოს შესაბამისი კაპიტალური გრანტის (შემდგომში - გრანტი) გაცემა მუნიციპალიტეტზე, მის მიერ დანართით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში;
4. სამინისტრო უზრუნველყოფს გრანტის გაცემას დანართით გათვალისწინებული სამიზნე მაჩვენებლების შესრულებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაკმაყოფილებულია გრანტის მიღებისათვის საჭირო ზოგადი პირობები.
5. მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას ამ მემორანდუმით განსაზღვრული გრანტის მიღების მიზნით შეასრულოს დანართით განსაზღვრული ზოგადი პირობების და სამიზნე მაჩვენებლების შესრულება;
6. ამ მუხლის მე-3-მე-5 პუნქტებით განსაზღვრული გრანტის მიღება ხორციელდება დანართით განსაზღვრული პირობების შესრულებისათვის გათვალისწინებულ ვადებში და შესაბამისი ოდენობით.

მუხლი 4. მემორანდუმის მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები

1. მემორანდუმი ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს ამ მემორანდუმით გათვალისწინებული კონკრეტული მიმართულებების შესრულების ვადით.
2. მემორანდუმის შეწყვეტის საფუძვლებია:
 - მხარეთა წერილობითი შეთანხმება;
 - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილების ან დამატების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.
2. საკითხებს, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე მემორანდუმით, მხარეები წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. მემორანდუმი შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

მხარეთა ხელმოწერები:


საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



გიორგი კაკაურიძე

მინისტრის მოადგილე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი



ალექსანდრე საჩიშვილი

მემორანდუმის დანართი №1

ცხრილ №1-ში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ამოცანები და ინდიკატორები 2020-2022 წლებისთვის;

ცხრილ №2-ში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტების მიერ სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ვადები;

ცხრილ №3-ში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტების მიერ მისაღები გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების სავარაუდო პერიოდი.

ცხრილი №1-ით წარმოდგენილი ამოცანების საბაზისო მაჩვენებლები განზოგადებულია მუნიციპალიტეტებისათვის, ხოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, დონორების დახმარებით განხორციელებული PEF4 შეფასების ინდიკატორების გამოყენებით, მუნიციპალიტეტების შედეგებზე დაყრდნობით, ასევე არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის

მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილი კაპიტალური გრანტის მიღების ზოგადი პირობები

1. კაპიტალური გრანტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაქმნაყოფილებულია შემდეგი პირობები:
 - ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 155¹ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ პირობებს;
 - ბ) 2021-2022 წლების სამიზნე მაჩვენებლების შემოწმებისას მუნიციპალიტეტი ინარჩუნებს წინა წლებისათვის განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებლებით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობას.
2. ზოგადი პირობების და ცხრილი №1-ით განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებლების შესრულებას ამოწმებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სამიზნე მაჩვენებლების გადამოწმების მიზნით მუნიციპალიტეტისგან ინფორმაციის მიღება ხორციელდება ელექტრონული ფორმით.
3. კაპიტალური გრანტის ჩარიცხვის მიზნით, სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ვადები განსაზღვრული ცხრილი №2-ით, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გრანტის ჩარიცხვას ახორციელებს ცხრილი №3-ით განსაზღვრულ ვადებში, ამავე ცხრილით განსაზღვრული ოდენობით.

ცხრილი №1 მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ამოცანები და სამიზნე მაჩვენებლები 2020-2022 წლებისათვის

1. სამუავლოვადიანი დაგეგმვა და ბიუჯეტირება	1.1. საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის მუშაობა	სამუშაო ჯგუფის შექმნის და ამ ჯგუფის მუშაობის ძირითადი საკითხები ფორმალიზებულია პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით, არსებობს იურიდიული საფუძველი, თუმცა სამუშაო ჯგუფის მუშაობა და პრაქტიკაში და მის მიერ საბიუჯეტო პროცესის სრული კოორდინირება არ ხდება. საბიუჯეტო პროცესი კვლავ ადრეხება ძირითადად საფინანსო სამსახურების ვალდებულებად. ბიუჯეტის მომზადების ქვემოთაშენით დაგეგმვის პრინციპის პრაქტიკაში დასაწერად სამუშაო ჯგუფების როლი საჭიროებს მნიშვნელოვან გაძლიერებას.	მიზანი: საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. განსაზღვრულია შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების მიერ ინფორმაციის მომზადების ვადები და სამუშაო ჯგუფის შედეგების პერიოდულობა. გადამოწმების საშუალება: მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი	მიზანი: საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. განსაზღვრულია შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადების ვადები და სამუშაო ჯგუფის შედეგების პერიოდულობა. გადამოწმების საშუალება: მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი; შესრულების ვადა: 2020 წლის ივლისი და 2021 წლის დეკემბერი;	მიზანი: საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. განსაზღვრულია შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადების ვადები და სამუშაო ჯგუფის შედეგების პერიოდულობა. გადამოწმების საშუალება: მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი
			!		

პერიოდი	პერიოდი	პერიოდი	პერიოდი	პერიოდი
1.2. პრიორიტეტში ხის დოკუმენტები და ასოგნებების ზღვრული მოცულობების დადგენა	მუნიციპალიტეტი ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტს, თუმცა მისი სტრუქტურა არ შესაბამებია პროგრამული ხიურჯების შედგენის განახლებული მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ფორმატს. მათ შორის, პრიორიტეტების დოკუმენტში არ არის განისაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით ასოგნების ზღვრული მოცულობები სამშუალოვადიანი პერიოდისთვის. ამასთან, პრიორიტეტების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია არსებითად არ განსხვავდება ხიურჯებში წარმოდგენილი სტრუქტურისგან.	მიზანი: სამუშაო გეგმის მიერ მომზადებული პრიორიტეტების სამშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2021-2024 წლების ასოგნების ზღვრული მოცულობები (კერები). გადამოწმების სამუშაო: სამუშაო გეგმის ოქმი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების შესახებ; 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომელიც გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ- გვერდზე; შესრულების ვადა: 2020 წლის 15 აგვისტო	მიზანი: სამუშაო გეგმის მიერ მომზადებული პრიორიტეტების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პრიორიტეტების ძირითად მიმართულებებს და ასოგნების და რიგბინების ზღვრულ მოცულობებს (კერები) 2022-2025 წლებისთვის, მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ფორმატით, მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ ვადებში. გადამოწმების სამუშაო: სამუშაო გეგმის ოქმი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების შესახებ; 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე შესრულების ვადა: 2021 წლის 15 ნოემბერი	მიზანი: 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში გამოჩნული პროგრამები არსებული (მიმდინარე) და ახალი ინიციატივების მიხედვით. გადამოწმების სამუშაო: სამუშაო გეგმის ოქმი პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების შესახებ; 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე; შესრულების ვადა: 2022 წლის დეკემბერი

9

7

	1.3. პროგრამული ბიუჯეტირება				
	1.3. პროგრამული ბიუჯეტირება	მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის დანართი ფორმატი და მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით, თუმცა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტში წარმოდგენილია ინფორმაცია პროგრამების აღწერების, შედეგების და ინდიკატორების შესახებ ერთწლიანი პერიოდისთვის და არ შეესაბამება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის ფორმატს.	მიზანი: პროგრამული ბიუჯეტის დანართი მომზადებულია კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმატით, თუმცა პროგრამული ბიუჯეტის დანართი, რომელიც თან ერთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს გამორეკონსტრუირებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. შესრულების ვადა: 2020 წლის დეკემბერი	მიზანი: პროგრამული ბიუჯეტის დანართი მომზადებულია კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმატით, ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტების ფარგლებში გათვალისწინებული პროგრამების ჯამური მოცულობის არანაკლებ 25%-ისთვის წარმოდგენილია მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. გადამოწმების საშუალება: პროგრამული ბიუჯეტის დანართი, რომელიც თან ერთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს გამორეკონსტრუირებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. შესრულების ვადა: 2021 წლის დეკემბერი	მიზანი: პროგრამული ბიუჯეტის დანართი მომზადებულია კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმატით, ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტების ფარგლებში გათვალისწინებული პროგრამების ჯამური მოცულობის არანაკლებ 50%-ისთვის წარმოდგენილია მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. გადამოწმების საშუალება: პროგრამული ბიუჯეტის დანართი, რომელიც თან ერთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს გამორეკონსტრუირებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. შესრულების ვადა: 2022 წლის დეკემბერი

1.4. სამოქმედო გეგმების მომზადება	მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმის ფორმატი და მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით. პროგრამების დოკუმენტსა და ბიუჯეტში ნაწილობრივ წარმოდგენილია ინფორმაცია პროგრამების ფარგლებში დონისპირობების აღწერების, შედეგების და ინდიკატორების შესახებ ერთწლიანი პერიოდისთვის, თუმცა მუნიციპალიტეტი არ ამზადებს სამოქმედო გეგმას მეთოდოლოგიის შესაბამისად.	მიზანი: მომზადებულია 2021 წლის დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც შეესაბამება პრიორიტეტების დოკუმენტით დადგენილ ზღვრულ მოცულობებს. გადამოწმების საშუალება: სამართლებრივი აქტი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე; 2021 წლის სამოქმედო გეგმა გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე შესრულების ვადა: პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით დადგენილ ვადაში.	მიზანი: მომზადებულია 2022-2023 წლების დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც შეესაბამება პრიორიტეტების დოკუმენტით დადგენილ ზღვრულ მოცულობებს. სამოქმედო გეგმაში თითოეული პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებების ჯამური მოცულობის არანაკლებ 25%-თვის წარმოდგენილია მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. გადამოწმების საშუალება: სამართლებრივი აქტი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე; 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე შესრულების ვადა: პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით დადგენილ ვადაში.	მიზანი: მომზადებულია 2023-2026 წლების დეტალური საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შეესაბამება პრიორიტეტების დოკუმენტით დადგენილ ზღვრულ მოცულობებს. სამოქმედო გეგმაში თითოეული პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნებების ჯამური მოცულობის არანაკლებ 50%-თვის წარმოდგენილია მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. გადამოწმების საშუალება: სამართლებრივი აქტი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე; 2023-2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე შესრულების ვადა: პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით დადგენილ ვადაში.

	1.5. დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების რაოდენობა	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების ხშირი ხასიათი აქვს და არ არის დამოკიდებული მხოლოდ ერთი მხარეზე და წესებულებიდან, მეორე მხარეზე და წესებულებაზე ასიგნებების გადატანით, რაც საჭიროებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წარედენას საკრებულოსთვის და ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია მუნიციპალიტეტის ნაშთის გადანაწილებით საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში არ ხდება ნაშთის გადანაწილება ბიუჯეტის დამტკიცების დროს, რაც დაგეგმვის ხარვეზზე მიუთითებს.		მოზანა: საკუთარი შემოსავლების ნაწილში 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა არა უმეტეს 4-ჯერ გადამოწმების საშუალება: მომზადებული ინფორმაცია დამტკიცებულ ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების ფარგლებში ცვლილებების განხორციელების რაოდენობის და საჭიროებების შესახებ, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. შესრულების ვადა: 2021 წლის დეკემბერი	მოზანა: 2022 წლის განმავლობაში საკუთარი შემოსავლების ნაწილში განხორციელებული ცვლილებებით დაკორექტირებული ხარჯებით ნაწილის გეგმები თავდაპირველი გეგმისაგან განსხვავდება არა უმეტეს 10%-ით; გადამოწმების საშუალება: მომზადებული ინფორმაცია დამტკიცებულ ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების ფარგლებში ცვლილებების განხორციელების რაოდენობის და საჭიროებების შესახებ, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. შესრულების ვადა: 2022 წლის დეკემბერი

2. ანგარიშგება და კონტროლი	2.1. ფინანსური ანგარიშგების წარმოება			
	მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების მომზადება რეგულირდება კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №324 ბრძანებით. მუნიციპალიტეტები ან არ ამზადებენ ფინანსური ანგარიშგებებს ან ძირითადად პრაქტიკაში მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს/საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ამასთან, მუნიციპალიტეტებს არა აქვთ ფინანსური ანგარიშგების (ბალანსის) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაზიზო სამსახურისთვის წარდგენის ვალდებულება. თუმცა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში უნდა მომზადდეს ცენტრალური მთავრობის 2020 წლის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება, რომელსაც დანართების სახით უნდა ქონდეს თანდართული ყველა მუნიციპალიტეტის და ავტონომიურების ნაერთი ბუღალტრული ანგარიში.	მიზანი: მუნიციპალიტეტის 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) მომზადებულია "ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №324 ბრძანების შესაბამისად და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაზიზო სამსახურისთვის. გადამოწმების საშუალება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაზიზო სამსახურისთვის და საბელმწიფო ოფიციალურად გაგზავნილი 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი). შესრულების ვადა: 2020 წლის 1 ივლისი	მიზანი: მუნიციპალიტეტის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) მომზადებულია "ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №324 ბრძანების შესაბამისად და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაზიზო სამსახურისთვის და საბელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის. გადამოწმების საშუალება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაზიზო სამსახურისთვის და საბელმწიფო ოფიციალურად გაგზავნილი 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი). შესრულების ვადა: 2021 წლის 1 ივლისი გაბიონა-სი 11/14/2021 კ. ანტონიძე	მიზანი: მუნიციპალიტეტის 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი) მომზადებულია "ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №324 ბრძანების შესაბამისად და წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაზიზო სამსახურისთვის და საბელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის. გადამოწმების საშუალება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაზიზო სამსახურისთვის და საბელმწიფო ოფიციალურად გაგზავნილი 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი). შესრულების ვადა: 2022 წლის 1 ივლისი

2.2. ვალის შესახებ ინფორმაციის ასახვა ბიუჯეტში	საბიუჯეტო დოკუმენტაცია არ მოიცავს ინფორმაციას ვალის მთლიანი მოცულობის შესახებ.	მიზანი: საბიუჯეტო დოკუმენტაციაში ასახულია ვალის მოცულობა სულ მცირე მიმდინარე წლის დასაწყისისათვის, გადამოწმების საშუალება: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პაკეტი, რომელიც გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. შესრულების ვადა: 2020 წლის ნოემბერი	მიზანი: საბიუჯეტო დოკუმენტაციაში ასახულია ვალის მოცულობის პრიფნობი, დასაგეგმი წლის პერიოდის ბოლოსათვის; გადამოწმების საშუალება: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პაკეტი, რომელიც გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. შესრულების ვადა: 2021 წლის ნოემბერი
2.3. შიდა აუდიტის ანგარიშები და შიდა ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის ფუნქციონირება	შიდა აუდიტის სუბიექტების მიერ მომზადებული აუდიტორული შემოწმებები ხშირ შემთხვევაში არ ეყრდნობა რისკების შეფასებას; მუნიციპალიტეტი ძირითადად ამზადებს შესაბამისობის აუდიტს. შესაბამისად, შიდა აუდიტის მიმართულების გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია რისკის შეფასებაზე დაფუძნებული შემოწმებების მომზადება და რეკომენდაციების მონიტორინგი.	მიზანი: რისკის შეფასების საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის მიხედვით გახშირებულია აუდიტორული შემოწმება. შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრთან კონსულტაციით. მომზადებული ანგარიში განხილულია მუნიციპალიტეტის საკრებულოში. გადამოწმების საშუალება: მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრისთვის ოფიციალურად წარდგენილი ანგარიში; ცენტრის პოზიცია მომზადებული ანგარიშის საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ; საკრებულოს სხდომის ოქმი. შესრულების ვადა: 2021 წლის სექტემბერი	მიზანი: განხორციელებულია მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ 2021 წელს მომზადებული შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიში წარმოდგენილი რეკომენდაციების მონიტორინგი ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრთან კონსულტაციით. გადამოწმების საშუალება: მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრისთვის ოფიციალურად წარდგენილი ანგარიში; ცენტრის პოზიცია მომზადებული ანგარიშის საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ; შესრულების ვადა: 2022 წლის სექტემბერი

	2.4. წარმომადგენლობითი ორგანოს შედამხედველობა ანგარიშგებებზე	მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები ძირითადად არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. მუნიციპალიტეტების მიერ პრაქტიკაში მართადად არ ხორციელდება ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის.		მიზანი: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აუდიტირებული მუნიციპალიტეტების 2020 წლის ფინანსური ანგარიშგებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამხილვა საკრებულოში. გადამოწმების საშუალება: საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილება, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის არსებობის შემთხვევაში შესრულების ვადა: 2021 წლის ნოემბერი	მიზანი: საკრებულოს მიერ განხილულია 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე მუნიციპალიტეტის ანგარიში: გადამოწმების საშუალება: მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ანგარიში. შესრულების ვადა: 2022 წლის ნოემბერი
3. ანგარიშგაღებულობა და გამჭვირვალობა	3.1. ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშგებების წარმოება	მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული კვარტალური და წლიური ანგარიშგები ზოგადი ხასიათისაა. კვარტალური ანგარიშები არ მოიცავს ინფორმაციას პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიში არ მზადდება პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად.	მიზანი: მომზადებულია არანაკლებ მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში და 2019 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიში; გადამოწმების საშუალება: 6 თვის შესრულების ანგარიში და წლიური ანგარიში, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. შესრულების ვადა: 2020 წლის 1 ივლისი და 2020 წლის დეკემბერი.	მიზანი: მომზადებულია მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულები ანგარიში, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების შესრულების თაობაზე. გადამოწმების საშუალება: 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. შესრულების ვადა: 2021 წლის 1 ივლისი	მიზანი: მომზადებულია მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში (პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით) პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად და 1.3 ამოცანის ფარგლებში 2022 წლის მიზნის შესაბამისად, არანაკლებ პროგრამების 25%-სთვის წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილთან შედარებით მიღწეული შედეგების და ინდიკატორების შესახებ და განმარტებები დაგეგმილ და მიღწეულ მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში. გადამოწმების საშუალება: წლიური ანგარიში, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. შესრულების ვადა: 2022 წლის 1 ივლისი.

	3.2. საბიუჯეტო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა	ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი ან არ აქვადებს რიგ საბიუჯეტო დოკუმენტაციას, ან არ არის ხელმისაწვდომი მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით.	მიზანია: მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია საკრებულოში წარდგენილი საბიუჯეტო დოკუმენტაცია (მათ შორის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტები და მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის პროექტებიდან ერთად, კვარტალური (3, 6 და 9 თვის) და წლიური ანგარიშები). გადამოწმების საშუალება: შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. შესრულების ვადა: 2020 წლის 1 ივლისი; 2020 წლის დეკემბერი	მიზანია: მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია საკრებულოში წარდგენილი საბიუჯეტო დოკუმენტაცია (მათ შორის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტები და მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის პროექტებიდან ერთად, კვარტალური (3, 6 და 9 თვის) და წლიური ანგარიშები). გადამოწმების საშუალება: შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. შესრულების ვადა: 2022 წლის 1 ივლისი; 2022 წლის დეკემბერი
3.3. მოქალაქის გზამკვლევის მომზადება	მუნიციპალიტეტის მიერ რეგულარულად არ მომზადდება/არ მომზადდება საბიუჯეტო დოკუმენტაციაზე (პირიტიტების დოკუმენტი, დამტკიცებული ბიუჯეტი, შესრულების ანგარიშები და სხვა) მოკლე და მოქალაქეებისათვის მარტივად აღქმად ენაზე მომზადებული გზამკვლევი.	მიზანია: მომზადებულია 2020 წლის 1 ივლისის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების (მათ შორის კაპიტალური პროექტები) მიმდინარეობის შესახებ მოქალაქის გზამკვლევი. გადამოწმების საშუალება: მოქალაქის გზამკვლევი გამოქვეყნებული მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. შესრულების ვადა: 2020 წლის აგვისტო		მიზანია: მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებულია მოკლე, მოქალაქეებისთვის მარტივად აღსაქმელი ინფორმაცია/გზამკვლევი არანაკლებ 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშზე და 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტზე. გადამოწმების საშუალება: 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის და 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტზე მოკლე გზამკვლევი, რომელიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. შესრულების ვადა: 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის გზამკვლევის მომზადება - 2022 წლის 1 მაისი; 2023 წლის ბიუჯეტის კანონის მოკლე გზამკვლევი - 2022 წლის დეკემბერი

ცხრილი №2 მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ამოცანების და ინდიკატორების შესრულების ვადები

1. საშუალოვადიანი დაგეგმვა და ბიუჯეტირება		ივლისი	დეკემბერი	ივლისი	დეკემბერი	ივლისი	დეკემბერი
	1.1. საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის მუშაობა						
	1.2. პრიორიტეტების დოკუმენტი და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დადგენა	15 აგვისტო			15 ნოემბერი		დეკემბერი
	1.3. პროგრამული ბიუჯეტირება		დეკემბერი		დეკემბერი		დეკემბერი
	1.4. სამოქმედო გეგმების მომზადება		ოქტომბერი		ოქტომბერი		ოქტომბერი
	1.5. დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების რაოდენობა				დეკემბერი		დეკემბერი
2. ანგარიშგება და კონტროლი	2.1. ფინანსური ანგარიშგების წარმოება			1 ივლისი		1 ივლისი	
	2.2. ვალის შესახებ ინფორმაციის ასახვა ბიუჯეტში		ნოემბერი		ნოემბერი		
	2.3. შიდა აუდიტის ანგარიშგები და შიდა ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის ფუნქციონირება				სექტემბერი		სექტემბერი
	2.4. წარმომადგენლობითი ორგანოს ზედამხედველობა ანგარიშგებებზე				ნოემბერი		ნოემბერი
	3.1. ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშგებების წარმოება	1 ივლისი	დეკემბერი	1 ივლისი		1 ივლისი	
3. ანგარიშგადადებული და გამჭვირვალობა	3.2. საბიუჯეტო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა	1 ივლისი	დეკემბერი	1 ივლისი	დეკემბერი	1 ივლისი	დეკემბერი
	3.3. მოქალაქის გზამკვლევის მომზადება	აგვისტო				მაისი	დეკემბერი

ცხრილი №3 მუნიციპალიტეტისათვის მისაღები გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების მიზნების სავარაუდო პერიოდო

გრანტის მოცულობა (ათასი ლარი) და გრანტის მიღების საგარეო პერიოდი																			
ამოცანა	ინდიკატორი	სულ 2020- 2023 წლები	2020 წელი				2021 წელი				2022 წელი				2023 წელი				
			სულ	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	სულ	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	სულ	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.		
1. საშუალოდანი და ბიუჯეტირება	1.1. საბიუჯეტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით																		
	საბუღალტრო გეგმის მიზნით																		
	1.2. პრიორიტეტების დოკუმენტის და ასიგნებების ზედრული მოცულობების დადგენა	100.0	100.0				100.0	0.0				0.0						0.0	
	1.3. პროგრამული ბიუჯეტირება	450.0	0.0				100.0	100.0				150.0	150.0					200.0	200.0
	1.4. სამოქმედო გეგმების მომზადება	400.0	100.0				100.0	150.0				150.0	150.0					150.0	0.0
	1.5. დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების რაოდენობა	100.0	0.0				0.0				0.0						100.0	100.0	
	სულ	1,050.0	200.0	0.0	0.0	0.0	200.0	250.0	100.0	0.0	0.0	150.0	300.0	150.0	0.0	0.0	150.0	300.0	300.0
2. ანგარიშგება და კონტროლი	2.1. ფინანსური ანგარიშგების წარმოება																		
	2.2. ვალის შესახებ ინფორმაციის ასახვა ბიუჯეტში	100.0	0.0				100.0				100.0	0.0					0.0		
	2.3. შიდა აუდიტის ანგარიშგება და შიდა ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის ფუნქციონირება	200.0	0.0				100.0				100.0	100.0					100.0	0.0	
	2.4. წარმომადგენლობითი ორგანოს შედამხედველობა ანგარიშგებებზე	200.0	0.0				100.0				100.0	100.0					100.0	0.0	
	სულ	500.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	300.0	0.0	0.0	0.0	300.0	200.0	0.0	0.0	0.0	200.0	0.0	0.0
3. ანგარიშგებულზე და გამჭვირვალობა	3.1. ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშგებების წარმოება	250.0	0.0								100.0	150.0					150.0	0.0	
	3.2. საბიუჯეტო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა																		
	3.3. მოქალაქის გზამკვლევის მომზადება	200.0	100.0				100.0	0.0			0.0						100.0	100.0	
	სულ	450.0	100.0	0.0	0.0	0.0	100.0	100.0	0.0	0.0	0.0	100.0	150.0	0.0	0.0	0.0	150.0	100.0	100.0
	სულ	2,000.0	300.0	0.0	0.0	0.0	300.0	650.0	100.0	0.0	0.0	550.0	650.0	150.0	0.0	0.0	500.0	400.0	400.0



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტის სამსახური



წერილის ნომერი: 07-302221546
თარიღი: 03/08/2022

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის
მამუკა ვადაჭკორიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ალექსანდრე,

როგორც მოგვხსენებათ 2019 წლის დეკემბერში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის თაობაზე“ რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას შეასრულოს მემორანდუმის დანართით განსაზღვრული ზოგადი პირობების და სამიზნე მაჩვენებლების შესრულება და ვინაიდან დანართის 2.3 პუნქტით გათვალისწინებულია მერიის შიდა აუდიტორული ანგარიშის წარდგენა მუნიციპალიტეტის საკრებულოზე, გამომდინარე აქედან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის წინადადებაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის აგვისტოს თვის სესიაზე, მემორანდუმის შესაბამისად, საკრებულოს ინფორმირებულობის თვალსაზრისით, წარდგენილი იქნას 2022 წლის 21 მარტს მომზადებული შიდა აუდიტორული ანგარიში(შესაბამისობის აუდიტი) რომელიც შეეხება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ 2019-2020-2021 წლების ბიუჯეტებითა და წესდებით გათვალისწინებულ და განხორციელებულ საქმიანობას.

გთხოვთ განიხილოთ აღნიშნული საკითხი და დადებითი გადაწყვეტილების მიღებისას განახორციელოთ შესაბამისი პროცედურები რათა მოხდეს შიდა აუდიტორული ანგარიშის წარდგენა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის

აგვისტოს თვის სესიაზე.

დანართი: 36(ოცდათექვსმეტი) ფურცელი

პატივისცემით,

მამუკა ვადაჭკორია

შიდა აუდიტის სამსახური-შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი